# ხელშეკრულება აუდიტორული მომსახურების შესახებ N 85

ქ. თბილისი

30.09.2016 წელი

ერთის მხრივ **შპს „საქართველოს ლატარიის კომპანია"** წარმოდგენილი გენერალური დირექტორის **ლევან ჩიკვაიძის** სახით, შემდგომში - „შემსყიდველი" და მეორეს მხრივ **ფიზიკური პირი - გიორგი ჯიბლაძე**, შემდგომში - „მიმწოდებელი", საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია აქტივების შეფასებასთან დაკავშირებული აუდიტორული მომსახურების შესყიდვა. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად (CPV კოდი: 79419000).

## მუხლი 2. შესყიდვის ობიექტი

2.1. მოძრავი ქონების საბაზრო და საიჯარო ღირებულების დადგენა.
2.2. მოძრავი ქონების ჩამონათვალი ელექტრონული ფორმით გადაეცემა მიმწოდებელს.

## მუხლი 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.
3.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 1 000 (ათასი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

## მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

## მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება არაუგვიანეს 2016 წლის წლის 7 ოქტომბრისა.
5.2. მომსახურების განხორციელების ადგილია: ქ. თბილისი.
5.3. მომსახურების განხორციელების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (კანონმდებლობით დადგენილი ანგარიშსწორების ფორმები).

## მუხლი 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით და თანდართული ფინანსური დოკუმენტაციით, ან სასაქონლო ზედნადებით, რომელიც დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.
6.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიის" ფინანსური დირექტორი – ნინო ნადირაძე.

## მუხლი 7. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და ადგილი

7.1. ანგარიშსწორება ხორციელდება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარებში.
7.2. ანგარიშსწორება წარმოებს შემსყიდველის მიერ შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში.

## მუხლი 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

**8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:**

- შეამოწმოს მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

**8.2. შემსყიდველი ვალდებულია:**

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

**8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:**

- მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

**8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:**

- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ხელშეკრულების 5.1 პუნქტის შესაბამისად
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## მუხლი 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2016 წლის 31 ოქტომბრამდე.

## მუხლი 10. ფორს-მაჟორი

10.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
10.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
10.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## მუხლი 11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## მუხლი 12. სხვა პირობები

12.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
12.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
12.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

## მუხლი 13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი“

დასახელება: შპს ,,საქართველოს ლატარიის კომპანია”
საიდენტიფიკაციო კოდი 204568208
მისამართი: ქ. თბილისი, ჭავაჭავაძის გამზირი №34
საბანკო რეკვიზიტები: სს “ლიბერთი ბანკი”
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა GE28LB0113121375356003

გენერალური დირექტორი

ლევან ჩიქვაიძე

„მიმწოდებელი“

დასახელება: ფიზიკური პირი – გიორგი ჯიბლაძე
პირადი №: 01017019562
მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას ქუჩა №23
საბანკო რეკვიზიტები: სს “თი ბი სი” ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE55TB7982845063600010

ფიზიკური პირი

გიორგი ჯიბლაძე